საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ბადრი კვაჭაძე ეკა ჯანანაშვილი
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	bkvachadze@geostat.ge ejananashvili@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (300) +995 32 236 72 10 (305)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 19 თებერვალი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 19 თებერვალი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 19 თებერვალი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა.
ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი.
იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.
ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.
საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სატრანზიტო გადაზიდვების და გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა № 4) შესახებ მონაცემებს, აგრეთვე არაორგანიზებულ ვაჭრობას.
საგარეო სავაჭრო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან.
დამატებით ხდება ინფორმაციის მიღება ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შესახებ: შესაბამისად, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-დან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-დან და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-დან.
ინფორმაცია მოცემულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის (HS 2017) 4-ნიშნა და 6-ნიშნა კოდების დონეებზე; აგრეთვე, საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC Rev. 4) 1-ნიშნა და 5-ნიშნა კოდების დონეებზე; რეგიონებისა და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC Rev. 4) 4-ნიშნა კოდების მიხედვით; ფართო ეკონომიკური კატეგორიების 1-ნიშნა და 3-ნიშნა კოდების დონეებზე, ქვეყნების და ქვეყნების ჯგუფების, მოვაჭრე სუბიექტების ზომისა და მათი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით; აგრეთვე, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზებული სისტემის (HS 2017) კარების

მიხედვით ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსის სახით. პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს იმპორტისთვის – გამომგზავნი ქვეყანა, ხოლო ექსპორტისთვის – საბოლოო დანიშნულების ქვეყანა. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).
3.2. კლასიფიკაციის სისტემა
• საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2017); • მსოფლიოს ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკატორი – სკ 007-2016 (ISO 3166); • ვალუტების კლასიფიკატორი – სკ 008-2023 (ISO 4217); • საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია (SITC-4); • ფართო ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიკატორი (BEC-4); • ეკონომიკური საქმიანობის სახეები – სეკ (NACE Rev. 2) 006-2016 (2016 წ.); • ტრანსპორტის სახეობების კლასიფიკატორი.
3.3. სექტორის მოცვა
საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის კვლევის ობიექტია ყველა საქონელი, რომელიც შემოდის და გადის ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიიდან და ცვლის მის მატერიალურ მარაგებს.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიის „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013) და უახლესი რეკომენდაციების „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები, 2010“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2011) შესაბამისად. საგარეო ვაჭრობის შესახებ მონაცემები მუშავდება და ვრცელდება ყოველთვიურად. ყველა საქონელი წარმოდგენილია ღირებულებით და რაოდენობრივ მაჩვენებელში (წონა, დამატებითი ზომა) და, აგრეთვე ინდექსების სახით (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები, რომელიც მუშავდება და ვრცელდება ყოველწლიურად, კვარტალურ ჭრილში).
3.5. სტატისტიკური ერთეული
სტატისტიკური ერთეული არის ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი (საწარმო, ადგილობრივი ორგანო, საჯარო სამსახური, შინამეურნეობა), რომელიც ავსებს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას.
3.6. სტატისტიკური პოპულაცია
საქონლით საგარეო ვაჭრობა მოიცავს ყველა საქონელს, რომელიც შემოდის (იმპორტი) ან ტოვებს (ექსპორტი) ქვეყნის სტატისტიკურ ტერიტორიას და ზრდის ან ამცირებს ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგებს, საქონლის გადამუშავების ჩათვლით.
3.7. საანგარიშო არეალი
ინფორმაცია მოიცავს საქონლით საგარეო ვაჭრობას საქართველოს (გარდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიებისა, როგორიცაა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“) და დანარჩენ მსოფლიოს შორის.
3.8. დროის მოცვა
1995 წლიდან.
3.9. საბაზო პერიოდი
ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსების გაანგარიშებისათვის – 2015 წელი.

4. ზომის ერთეული
საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესახებ მონაცემები ქვეყნდება აშშ დოლარებში; გარდა ამისა, ინფორმაცია მუშავდება და ვრცელდება კილოგრამსა და ზომის დამატებით ერთეულებში (ლიტრი, ლიტრი 100% სპირტი, ათასი ლიტრი, ცალი, ასი ცალი, ათასი ცალი, ათასი კვტ·საათი, მეტრი, კვ. მეტრი, კუბ. მეტრი, წყვილი, ათასი ღერი და ა.შ.); მონაცემები აგრეთვე ვრცელდება ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსების სახით.

5. საანგარიშო პერიოდი
საბაჟო ორგანოს მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის მიღების თვე.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
სტატისტიკის მწარმოებელ უწყებას, კერძოდ, საქართველოს ეროვნულ ბანკს, შეთანხმებულ ვადებსა და ფორმატში რეგულარულად ეგზავნება სტატისტიკური მონაცემები საქონლით საგარეო ვაჭრობის, გადასამუშავებლად და სარემონტოდ იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის შესახებ საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის კომპილაციის მიზნით.

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია. • კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf 2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“ https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf 3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“

https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

საგარეო ვაჭრობის შესახებ მონაცემები ქვეყნდება ყოველთვიურად, გარდა რეგიონებისა და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC Rev. 4) 4-ნიშნა კოდების მიხედვით წარმოებული სტატისტიკური მონაცემებისა, რომელიც კვარტალურად ვრცელდება. ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების კვარტალური ინდექსების შესახებ მონაცემები ქვეყნდება ყოველწლიურად.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ყოველთვიურად პრეს-რელიზების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია შემდეგ ბმულზე:
https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=4

10.2. პუბლიკაციები

საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია პუბლიკაციებში:
„საქართველოს საგარეო ვაჭრობა“ (წლიური):
https://www.geostat.ge/index.php/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba
„სტატისტიკური წელიწდეული“:
https://www.geostat.ge/index.php/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli
„კვარტალური ბიულეტენი“:
https://www.geostat.ge/index.php/ka/single-categories/98/kvartaluri-biuleteni

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემები ვრცელდება საგარეო ვაჭრობის პორტალზე:
https://ex-trade.geostat.ge/ka

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად:
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

10.5. სხვა

საქონლით საგარეო ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები აგრეთვე ვრცელდება სოციალური ქსელის (Facebook) და სპეციალური აპლიკაციის საშუალებით Android-ის და iOS სისტემის მობილური ტელეფონებისთვის.

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე:
https://www.geostat.ge/media/43170/sagareo-metodologia-da-praqtika-%28geo%29.pdf
ხოლო დეტალური მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე:
https://www.geostat.ge/media/19377/2-IMTS%20-%20Concepts%20and%20Definitions.pdf

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მკვლევრები და სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, მედია საშუალებები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე დაკავშირებულია საბაჟო ადმინისტრირების დროს მონაცემთა პრაქტიკულ შეგროვებასთან, რაც არ გამორიცხავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ხარვეზებს. ხარვეზების აღმოფხვრა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კონტროლის და კორექტირების პროცედურების მიხედვით.
13.2. შერჩევითი ცდომილება
საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება სრულად ეფუძნება ადმინისტრაციულ წყაროებს, რის გამოც არ არსებობს შერჩევის შეცდომები.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
საგარეო ვაჭრობის შესახებ წინასწარი მონაცემები ხელმისაწვდომია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-13 დღეს, დეტალური მონაცემები – მე-19 დღეს, ხოლო რეგიონებისა და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC Rev. 4) 4-ნიშნა კოდების მიხედვით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები – 55 დღეს. ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსების გამოქვეყნების თარიღია 31 ივლისი. თუ ინფორმაციის გავრცელების დღე ემთხვევა უქმე ან არასამუშაო დღეს, მაშინ ინფორმაცია

ვრცელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

14.2. პუნქტუალურობა

მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა

15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული

გეოგრაფიულ ჭრილში მონაცემები შესადარისია.

15.2. შესადარისობა – დროში

ნაწილობრივ შესადარისია სასაქონლო ნომენკლატურის თვალსაზრისით:

- 4-ნიშნა დონეზე შესადარისია 1995 წლიდან;
- 6-ნიშნა დონეზე – 2000 წლიდან;
- ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსების დონეზე – 2015 წლიდან.

15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის

მონაცემები თანმიმდევრულია.

15.4. თანამიმდევრულობა – შიდა

მონაცემები თანმიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა

მონაცემების მიღება და დამუშავება წარმოებს საქსტატის ბიუჯეტის ფარგლებში და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ადმინისტრაციული მონაცემები.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

სტატისტიკური მონაცემების გადასინჯვა და კორექტირება წარმოებს რეგულარულად შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებების საფუძველზე. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ხორციელდება მასშტაბური გადასინჯვა დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

საქონლის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის წარმოება ხორციელდება შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები, რომელსაც საქსტატი იღებს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან;
- ინფორმაცია ბუნებრივი აირის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“;
- ინფორმაცია ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შესახებ – სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-დან, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-დან.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ყოველთვიური.

18.3. მონაცემთა შეგროვება

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის მოწოდება წარმოებს ყოველთვიურად სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების დონეზე, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაცია, ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე, მიიღება შესაბამისი წყაროებიდან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

18.4. მონაცემთა კონტროლი

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის შემოწმება: საქონლის კოდის, ფასის, წონის, დეკლარაციის თარიღის, გამომგზავნი/საბოლოო დანიშნულების ქვეყნის კოდების მიხედვით;
- ძირითადი სასაქონლო პოზიციების ფასების კონტროლი და დაზუსტება: ფასების/წონის/დამატებითი ზომის კონტროლი: (საქსტატი ამოწმებს და ასწორებს შემდეგი კოდების რაოდენობას: 0407, 2201, 2202,

2203, 2204, 2205, 2206, 2207, 2208, 2402, 2716, 8429, 8430, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711, 8716);

- დუბლირებული დეკლარაციების და იმ საქონლის ამოღება ვაჭრობის ბაზიდან, რომელიც, საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად, არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები და მონეტები, დიპლომატიური, დროებით გადაადგილებული და სარემონტოდ განკუთვნილი ტვირთები და ა. შ.).

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის „ზოგად მეთოდს", რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა. საგარეო ვაჭრობის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, დაზუსტების და კორექტირების პროცესი ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსის გაანგარიშება ეყრდნობა ფიშერის (Ft) ფორმულას, რომელიც წარმოადგენს პააშესა (Pt) და ლასპეირესის (Lt) ინდექსების გეომეტრიულ საშუალოს.

18.6. მოსწორება

-

19. კომენტარი

-